


№ 3 - 67



ქართველი კვირეული უფროსობი

№ 6

ვალიდური ავოდე

დასახელი	ქ.
გვარი	ქ.
ინდივიდუალური ნომერი	ქ.
მიმღების სახელი	ქ.
მიმღების გვარი	ქ.
მიმღების ინდივიდუალური ნომერი	ქ.
97789	

ვადი 10 დღე.

# მოითხოვთ კონკრეტული დღე

## „ლ ი ლ ი ლ ი“

ქართველთა ბმიანაცობა „ლილომ“ თავისი ნიმდვეილი და ჭირიენერი რძით მოიხოვდა კარგი ბაზარი და ასეთ ბყალოვანებს თავის საქმებს, რითაც მექლება მიეცდა მსურველთ მიაწოდოს საუკეთესო რძე ბინაზე, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ დღისთვის: რედაქცია „კლდე“ გაბაევსკის ქ. № 3. და ქართულ სამეცნიერო საზოგადოების მდივანთან: ბარათინსკა 5.

### მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

თ ა ვ ა ლ ა ღ ი უ რ გ ა ზ ე თ ზ ე

წელიწადი  
მეორე  
1913

ი მ ი რ ი ლ ი ლ

წელიწადი  
მეორე  
1913

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 პან., ნაბევარი წლით 4 პან., ერთი თვით 4 აბაზი და ცილკე ნუმრის 1 შატრი.

წლიური ხელის მომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაცს თრი მანეთი და პირველ ენკუნისთვესაც თრი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებს და სოფლის უფასო წიგნთსაც სამკითხველოებს გაზეთი წლიურად ეთმობათ თოხ მანეთად, ხოლო ნოქტებსა და სოფლის მასწავლებლებს – ხუთ მანეთად.

სამგლოვანო განცხადების თითო დაბეჭდვა უკეთესათვის — სამ მანეთად.

გაზეთის დასაგეთი ფასი და აგრძელებული უსათულე ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: კუთაისი, რედაქცია ი კონტორი გაზეთის „ИМЕРЕТИ“, ანთო მიხაილოვი ხელადვე. სხვანაირად გამოგზავნილ ფასი და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე უკრ შიაღებს.

33(05)  
5-67

№ 6

3 თებერვალი 1913 წ.

საქართველო  
სიმარტინი

ვისაც 1913 წლ. არ  
გამოუწერია უურნალი  
„კ ლ დ ე“; იანვრიდან  
აღარ ეგზავნება.



ცოვალ კვირეული საზოგადო ეკონო.

მიური და სალიტერატურო შურნალი

რედაქცია ლია 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუმისა: თბილისი კლდე.

**სარჩევი:** მეთაური. ადგილობრივ მართვა-გამგ. ახალი ქანონი. ალ. ყიფ მიძესი. ჩვენი ეჭონომიკა.— რ—გესი. სიმღერა.— ლექსი ვაჟა-ფშაველასი. ითანე შტბევარი. 3. ინგოროველასი. პრეს. შორის საზოგადო საქმეებისაგან.— ეკალისა. ქადა საკითხი. ქუთაისელისა. ბალგანეთის თმი. — მეომარისა. კორესპონდენცია.

სად არის ამის მიზეზი? რად ვფანტავთ ასე ჩვენს ლიტერატურულს ძალას, რად ვალევთ ენერგიის დიდ ნაწილს უმნიშვნელო და არა სასურველ შეხლა-შეჯახებას, როცა საქმე - სამკალი ბევრია და მომკალნი ასე ცოტანი?

ამის მიზეზი ბევრია. მათი ღრმა ანალიზი არც ისე ძნელია, მაგრამ ყველანი იმდენად უმნიშვნელოა საერთო საქმის და მიზანის წინაშე, რომ მათზე შეჩერებაც არა ღირს, მგონი. ცხადი ერთია მხოლოდ,— ჩვენი უურნალ-გაზეთობა უმეტეს ნაწილად, მიზანზედ, ანუ პრინციპზედ კი არ ეკამათება ერთი-ერთმანეთს, რადგან უმეტესობას ერთი უმაღლესი მიზანი აქვს— ეროვნული ილორძინება და განვითარება— არამედ დაუცხრომელი ბრძოლა წვრიმალების გარშემო ტრიალებს. და მარტო ამით აიხსნება, რომ ატეხილი უთანხმოებანი, ყოველთვის უსიამოვნებას და გულის ტკივილს იწვევენ მკითხველში. ის პრესი, რომელიც ხელმძღვანელიუნ და იყენეს საზოგადო აზრისა, რომელიც უნდა მიმართულებას ძალების სისტემის საქმეებს თავისი შევნებული გათვალისწინებით ყოველი შოვლენისა; რომელიც უნდა აწარმოებდეს გარკვეულს, მიზან-შეწონილ პოლიტიკას,— იფანტება, პკარგავს უმთავრესს — წვრილმანებში, რყვნის დიადს — უმნიშვნელოთი.

დაღალულს, გულგაწყალებულს უსაფუძვლო კაბათით, მკითხველს, ველარ მიუგნია იმ სიმართლის გულამდის, რომელსაც ამდენი ხარა-ხურა აფარია.

მერე უჩინს განა ბოლო ამ ენათა და შემეც-

323

თბილისი 3 თებერვალი

1913 წ.

როცა ებრაელები აშენებდნენ ბაბილონის გოულსა, რაღაც ღმერთი გაუწყრათ, ენა შეერიათ, ყველან სხვა და სხანაირად დაიწყო ლაპარაკი და საერთო საქმე ჩაიფუშა: ერთმანეთისა აღარა ესმოდათ რა და რიღას გაკეთება შეეძლებოდათ. ეხლათით ჩვენც გაგვწყრომია იქლოვა და საერთო საქმის დროს ენა შეერეული გვაქვს და ერთი ერთმანეთისა არა გვესმის რა. რომ გადაავლოთ თვიალი ჩვენ „მრავალრიცხოვან“ პრესის, რომ ჩაუკვირდეთ ჩვენი უურნალ-გაზეთების მიმართულებას, ადამიანი გაოცდება, თუ მიზანი და მისწრაფებანი, როგორ ყველას ერთი გვაქვს თითქო და იმავე დროს ერთო-ერთმანეთს სჭამენ სულ უბრალო და უმნიშვნელო საბაბების გამო, სჭამენ როგორც ფარაონის მჭლე ძროხები და ისევე მჭლერი რჩებიან.

ნებათა ოლრევას? არას სადმე ზოლი, რომელზედაც შეიძლებოდეს შერიგება, შეთანხმება პრესის და საზოგადოების კონცერტისა, თუ კრილოვის არაკისა არ იყვნეს, გარეშე ფრინველთ თამამად შეუძლიანთ გვითხრონ: „ა ვი, დრუზა, რა არ საძირო, არ იყვნეს, გვიჩვით არ არის.“

ჩვენის ღრმა რწმენით და მცირეოდენი გამოცდილებითაც ვიცით, რომ მეთანხმება მაშინ, როცა საშენებელი გოდოლი, ანუ მიზანი ერთი და იგივეა, — ძნელი არ არის. და ის კერძო ინტერესები, ის განსაკუთრებული კერძო მიზნები, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ნაწილები საერთო მიზნისა, რომელსაც უკელანი ვემსახურებით, არ უნდა გვიჩრდილავდნენ თვით მიზანს.

თორებ, ეხლა ჩვენ პრესის არამთე არ შეაქვს შეგნება ეროვნული მთლიანობისა ჩვენს საზოგადოებაში და ხალხში, არამედ იმ კავშირსაცა შლის და ჰგლეჯს, რომელიც ბუნებრივად არის დამყარებული; და ათას მტრულ ბანაკებადა ჰყოფს გააფთრება, ისედაც დაკნინებულ ერსა.

ჩვენის აზრით, ჯერჯერობით კარგი იქნებოდა მოგვეხერხებინა როგორც პერიოდული შეკრა ერთო-ერთმანეთთან პრესის წარმომადგვრელთა და გამორკვევა ზოგიერთი საჭირო-ბორბოლებისას და გვითხრონ: „ა ვი, დრუზა, რა არ საძირო, არ იყვნეს, გამოსპობისა, რომელსაც დღე-მუდამ შეაქვს გაბოროტება საზოგადოებაში და ყოველ რეალურ საქმეს, ყოველს მოქმედების მხოლოდ აფერხებს და აძნელებს.

ამიტომ მივმართავთ ჩვენი ეროვნული პრესის ყველა წარმომადგვრელთ, ვინც პრინციპიალურ წინააღმდეგობის ვერ დაინახავს ასეთ შეთანხმებაში, გამოსთქვან თვისი აზრიც.

იქნება, საერთო ძილით უკეთ შეიძლებოდეს მოგვარება არა მარტო ჩვენი სიტყვიერი მსჯელობისა, არამედ ყველა იმ კურტულურ-ეკონომიკურ დაწესებულებისა და საქმისა, რომელთაც ნება-ნება საფუძველი ეყრდნობა და რომელზედაც უნდა აღმოცენდეს ჩვენი ერის მომავალი ძალონე.

### • • • რ ა მ გ ე ბ ი ს

## ადგილობრივ მართვა-გამგების ახალი კანონი

რუსეთის მთავრობა რომ დამკვიდრდა საქართველოსა და შემდეგ სრულიად ამიერ-კავკასიაში, მნედ შეუდგა ადგილობრივ მართვა-გამგების მოწყობას, მაგრამ მთელი ორმოცი წელიწადი მთანდობა ამ საქმეს და ძლივ-ძლივობით 10 აპრილს 1840 წელს დაამტკიცებინა კანონი ადგილობრივ მართვა-გამგებისა. დღეს არსებულ მართვა გამგების ჩვენში აი სწორედ ეს 1840 წლის დაცველებული და ხავს მოკიდებული კანონი უდევს საფუძვლად. მთავარ-მართებელი პასკევიჩი იმ აზრისა იყო, რომ ადგილობრივი მართვა-გამგებისა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ისეთივე უნდა იყვნეს, როგორც შიდა რუსეთშია და ძველი საქართველოს კანონები დავიწყებას უნდა მივცეთო. ეს აზრი მთლად შეითვისა „ბრწყინვალე“ სენატორმა ბარონმა განმა და მისი ნამუშევარი, ნაფიქრი და ნააზრევი 10 აპრილს 1840 წ. კანონად იქცა. ამ დღიდან მართვა-გამგება ჩვენში იგივეა, რაც რუსეთში, განსხვავება არსებითად არაფერშია. იგივე გუბერნატორები, მაზრის უფროსნი, ბოჭაულნი, დარაჯნი და ურიადნიკები, მამასახლისნი და სხვა.

ამ უამად განძრიახულია შესცვალონ და სხვანაირად მოაწყონ ადგილობრივი მართვა-გამგება. უჩირველეს ყოვლისა აპირობენ მოსპონ სახალხო-სამხედრო მართვა-გამგება დაღესტნისა, ყარსისა და ბათუმის ოლქებში და უკელვან, სადაც ეს ინსტიტუტია დაწესებული. შემდეგ ამისა მთელს ამიერ-კავკასიას დასერავენ „უჩასტკებად“. განძრახული უჩასტკი დღევანდელს საბოჭაულოზე ცოტათ დიდი იქნება ტერიტორიით. ზოგს ახლანდელ მაზრაში თხით უჩასტკი გამოიჭრება, მაგალითად, გორის მაზრაში.

უჩასტკის უფროსი კაი მოზრდილი მოხელეა, მექანიკური კლასისა და ჯამაგირად ექნება 2500 მ. და 500 მ. სამგზავრო. \*) უჩასტკის უფროსს ექნება კანცელარიის ორის თანაშემწით, საქმის მწარმოებლით, ეკუთხებულორით, საქმის მწარმოებლის თანაშემწევებით, მწერლებით და სამის უფროსის ურიადნიკით. უკელა ამათ კაი მოზრდილი და თვალსაჩინო ჯამაგირი

\*) მისცემენ აგრედუე დამატებით ჯამაგირს დამსახურებულ სამსახურისას.

ჭავნიშვნებათ. მაგალითად საქმის მწარმოებელს 1200 მ. და ურიაღნიკს 720 მან.

თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში განძრა-ხელია ოც-ოცი უჩასტოკი.

მომავალი უჩასტკის უფროსი მოვალე იქნება ასრულოს ის, რასაც დღეს იყეობენ: მაზრის უფ-როსი, პომრიებელი შეა კაცი და სახელმწიფო მამულების ზედამხედველი. იგია მოვალე გაიკეთოს აკრედიტებული ის, რასაც ინურნერ-ჰიდრავლიკი აკეთებს. სწავლა-განათლება დიდი უნდა პქონდეს უჩასტკის უფროსს, უმჯობესია რომ უნივერსიტეტი პქონდეს დასრულებულიო.

განძრახული რეფორმა (მე-7 მუხლი) თხოუ-ლობს, რომ უჩასტკის უფროსმა იცოდეს ადგილო-ბრივ მკვიდრთა უმრავლესობის ენა. ფრიად საყუ-რადლებოა ეს მოთხოვნილება. 112 წელიწადი გავი-და მას შემდევ, რაც რუსეთი დამკვიდრდა საქარ-თველოსა და ამიერ კავკასიაში და მხოლოდ დღეს შეითვისეს ის უბრალო კეშმარიტება, რომ ადგილობ-რივ კურდლელს ადგილობრივი მწევარი დაიკერს ხოლ-მე. ერისა და ხალხის უფროსმა როგორ უნდა იუფრო-სოს ერზე, თუ მისი ენა არ ესმის, თუ მის აზრია და სურვილს თვისის ყურით ვერ მოისმენს. იკი ვერც ისმენდნენ და იგებდნენ და იყო ერთი უშვე-ლებელი და დაუსრულებელი ტანჯვა და ვაივაგლა-ხი. ხალხი ზნეობრივ ირყვნებოდა, ძირის ეცემოდა, ხოლო სახელმწიფოს ტყუილ-უბრალოდ ზარალი მოსდომდა. მადლობა ლმერთს, რომ დღეს მაინც მი- ხვდნენ ამ კეშმარიტების განხორციელების საჭირო-ებს და ჰსურთ კანონი აქციონ ის, რაც 112 წ.- წინად უნდა დაეკანონებინათ. მაგრამ ვინც იცის, თუ რას წარმოადგენს დლევანდელი მებრძოლი, გა- თამამებული, ხმალამოწვდილი და მოპარპაშე ცრუ ნაციონალიზმი, ის მიხვდება. რომ ვი თუ ბედნი- ერი სურვილი კავკასიის მთავრობისა, ცარიელ სუ- რეილად და ოცნებად დარჩეს. ამისი მაგალითი თვალწინა გვაქვს. რა ფართოდ იყო განძრახული ერობა, მაგრამ ამ უამად ისეთ ერობაზე სერიოზუ- ლად არავინ ბაისობს და ბჭობს და მხოლოდ თი- თო-ორილი გულ გატეხილი ოპტიმისტი უურნა- ლისტი თუ თუ თუნებობს ერობის შემოლების საჭირო- ებაზე და ხანდახანობით აწრიპინებს კალამს.

ფართო ერობის მაგიერ განძრახული მომავა- ლი რეფორმა აწესებს ერობის მინაგვარს საუჩასტ- კო, ანუ სათემო თვითმართველობას, საუჩასტკო კრებას და საუჩასტკო გამგეობას (участковое со- брание и участковая управа). კრებამ ის საერთ-

ბო საქმენი უნდა განავის, რომლის გასაძლოლოდ ფული არ არის გადადებული სიერთო საერთო თანხიდან (103 მუხლი). კრებაზე მონაწილეობას იღებენ გლეხთა წარმომადგენელნი, საქმეს კულტურული ერთი წარმომადგენელი (108 მუხლი) და მომადგენელთაგან 1,500 მცხოვრებელზე და კერძო მემამულეთაგან ის, ვი- საც უფლება იქვს სახელმწიფო საოთბიროს არჩევ- ნებში მონაწილეობა მიიღოს; იმ პირობით კი რომ კერძო მემამულეთა წარმომადგენელთა რიცხვი არ აღემატებოდეს პირველ ორ რიგის წარმომადგენელ- თა ერთს მეხუთედს.

საქმის წარმოება სათემო თვითმართველობაში რუსულ ენაზე სწარმოებს. ასეთი მოთხოვნილობა კანონისა (123 მუხლი) ლოლიკურად ეწინააღმდე- გება მეშვიდე მუხლს და ნათლად გამოსცვივის ძველი შიში და უნდობლობა. რა ადგილი იქვს წვრილ და პატარა ადგილობრივ საქმის წარმოების დროს სახელმწიფო ენას. რა დააკლდება სახელმ- წიფოს და რა ზარალი მიადგება მის უმაღლეს ინ- ტერესს, ქართულად, თათრულად ან სომხურად რომ დასწერონ მთიდან სოფელში ანკარა წყირო გამოვიყვანოთ და საჭირო ხარჯი გივილოთ ამისა- თვისო. კარგის რუსულის მცირება ზორბა ჯამაგი- რი უნდა და ისეთი ტვირთი წელს მოსწყვეტავს ულონო საუჩასტკო თვითმართველობას.

დღემდის სოფელს უვლიდა და პატრონობდა მამასახლისი თვისის ნაცვლებით. ახლა განძრახუ- ლია შემოილონ ისიც, რასაც რუსეთში ეძახიან „ვოლოსტნე უპრავლენიეს“. მაშასადამე გაგვი- ჩნდება იხალი მოხელე სოფლიად „ვოლოსტის სტარ- შინა“, ანუ მამასახლისი. იგი საპოლიციო საქმეებში ემორჩილება უჩასტკის უფროსს, ხოლო საზოგადო სათემო და საერთო საქმეებში საუჩასტკო გამგეო- ბას, ანუ უპრავას.

აი ესაა უმთავრესი საფუძველი, რომელზედაც აუშენებიათ მომავალი რეფორმა. საბოლოოდ რა საზეს მიიღებს ადგილობრივ მართვა-გამგეობის ასე დაყენებული რეფორმა, ძნელი გამოსაცნობია.

ალ. ყიფშიძე.

## ჩვენი გმომიქა

### I.

ვინმე ნ. „მშრომელს“ ფრიად საინტერესო ცნობი და ციფირები მოჰყავს გაზ. „ხმა კახეთისა“-ში თამბაქოს მოყვანის შესახებ ქიზიუში. მისი ანგარიშით, წელიწადში 100,000 - 400,000 მდე ფუთი თამბაქო მოდის ქიზიუში და მოუწყობელობის გამო გროშის ფასად იყიდება და მშრომელი ხალხი თითქმის არაფერ სარგებელს არ იღებს იქიდან. როგორც უკელა სხვა ჩვენი მეურნეობის დარგში, აქაც ჩარჩები და მოვახშეები ისუქებენ ჯიბეებს. ბატონი „მშრომელი“ წინადაღებას აძლევს საზოგადოებას და განსაკუთრებით ქართულ სამეურნეო ბანკს მოაწყოს საწყობი და ფულის დროზედ გაცემით, მშრომელსაც შელავათი მისცეს და მეტი სარგებლობა და ამით თვითონაც მოვება შეინარჩუნოს. მშრომელის ანგარიშით, ბანკს აქედან 10 - 15-მდე ათასი მანერი დარჩება წელიწადში ხარჯვარეთი მოვება.

შეუძლიან თუ არა სამეურნეო ბანკს ასეთი საწყობის გამართვა - ეს ძნელი სათქმელია. ცხადი კი მხოლოდ ერთია, რომ ჩვენს მდიდარ ქვეყანას, მდიდარს სამეურნეო ძალით და ნაყოფიერებით - პატრონი არა ჰყავს, თორემ განა მარტო თამბაქოს წარმოება ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში? აბა ვაისენეთ ჩვენი მთიულების, თუშების უბედური მდგომარეობა, რომელნიც იძულებულნი არიან ჩალის ფასად გამჭიდონ თავისი ძვირფასი ცხვრის მატყლი, რომელსაც მშვენიერი ბაზარი აქვს მოპოვებული საზღვარ-გარედ. გაიხსენეთ კახური ლვინო, რომელის ბაზარი მეტად ფართეა, რომ შესაძლებელი იყვეს მისი ასე ფლანგვა. მოიგონეთ გორის გაზირის შენის მეხილეობა, იმერეთის მეაბრეშუმეობა - და თქვენ თვალწინ გადიშლება მეტად უცნაური სურათები: ვვაქვს და ვერ ვსარგებლობთ. ვჩივით სილარიბეს მაშინ, როცა ბედმა თვით სამოთხეში დაგვასახლა, საცა „ქრისტე ღმერთმა თვისი მადლიანი კალთა დაიბერტყო“.

რა გვიხსნის ასეთ უმწეო მდგომარეობისაგან? წავიდა ის დრო, როცა იარაღით სწყვეტდა საქართველო თავის ბედ-ილბალს; ჩვენ გვვინია, უნდა წავიდეს ის დროც, როცა მხოლოდ კულტურული ლაყბობით და მწერლობით ვაპირებდით ქვეყნის აშენებას, უნდა ამოიფხიკოს ჩვენი ფსიხოლოგი-დან ის შეცდომა, ვითომც მხოლოდ პოეზიას, ლექსთა

წყობას, თეატრს და სხვა ამ გვარებს ჰქონდეთ უდიდესი და უმაღლესი კულტურული დორებულება ხალხის ცხოვრებაში.

ყოველი ერის ფიზიკური ძალა, ძინა, არსებობის საძირკველი უნდა განმტკიცებული იყვეს მისი ეკონომიკური ცხოვრებით. ეხლანდელი ხანა ჩვენ ძალაუნებურად გვაძამს სხვა ერთა ფერხულში და გვაკავშირებს მათთან ეკონომიკურის მხრით.

უნდა გადავაგდოთ თავიდ-აზნაურული კუდაბზიკობა და მთავარი ყურადღება მივაჭიროთ ჩვენს ეკონომიკურს აღორძინებას.

აქამდის ქართველი კაცის ფსიხიკა ვერ შერიცებია იმას, რომ დერძმა ეკონომიკური ცხოვრებისამ უნდა მძლავრად დაიხვიოს ზედა ვაჭრობა-მრეწველობაც, ინტენსიური მეურნეობა, მიწის სიმდიდრის დამუშავებიც. აქამდის ვერ მოვიშორებია თავიდან ცრუ სირცხვილი, რომ ვაჭრობა - არა საკადრისი ხელობაა, აქამდის ვერ შევჩევივართ იმ აზრს, რომ ყოველ მიწრაფებას - ძალა ეკონომიკურ საფუძველში უნდა ჰქონდეს.

ჩვენ ხან ვჩივით, რომ ერთად-ერთი რეალური ძალა, აქამდისაც თავ.-აზნაურობის კრებულია, როგორც ორგანიზაცია; ხან ვვინდა პოლიტიკური ლოზუნებით შევაგროვოთ ჩვენი ძალები და თავი მოვიტყუოთ, ვითომ მართლაც ძალა გვაქვს; ხან ვამაყობთ წარსულის დიდებით და გვინდა ეხლანდელი ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა წარსულით ფონს გავიყვანოთ, როდესაც ჩვენ ხელოთა, ნამდვილი, უტყუარი ძალა, რომელსაც არ უმტყუნია არც ერთი ერისათვის და რომელიც ისე აღვილად ავამაღლებს სხვა ერთა კეთილდღეობამდე - ეს არის ეკონომიკური ძალა.

როდესაც ჩვენ ეკონომიკურად მოვლონიერდებით. როდესაც ხალხი ინტენსიურად ამოსწოვს მიწას მის უთვალად სიმდიდრეს, როდესაც ქარხანა-ფაბრიცები დააგუგუნებენ თავის მძლავრ ლუმელებს, როდესაც მთელი მხარე მოიფინება მძლავრი კომპერატიული კავშირებით, რომელნიც კარგი და იაფი საქონელის მიწოდებით ზურგს გაუმაგრებენ წევრებს და მომხმარებელთ - აი მაშინ შეიძლება მხოლოდ ყოველმა კულტურულმა დაწესებულებამ ღონიერი და გამრჯელი მუშა მოიპოვოს, მაშინ შეუძლიან არსებობა - აყვავება თეატრს, ბიბლიოთეკებს, წ.-კ. საზოგადოებას და სხ. მაშინ შეეძლებათ პოლიტიკურ პარტიებს ჯარის კაცების მოპოვბა, თორემ ეხლანდელი პარტიების მდგომარეობა სიცილს მოვკვრის ადამიანს: არც ერთს მათგანს ხალხი არა ჰყავს და

გაზეთების ფურცლებით და იოხებენ გულსა. დასურამბავენ ერთი მუშის, ერთი გლეხის, ან ვატმანის წერილს და ჰერნიათ რომ ხალხში უკვე ფესვები აქვთ გადგმული.

ჩვენის აზრით, ვერც ერთი პოლიტიკური იდეა, ვერც ერთი კულტურული დაწესებულება ფეხს შეიძროდ ვერ მოიხარებს, თუ ღონიერი ხალხი არა ჰყავს დამცველად, თუ არ არის ის კონტინგენტი ადამიანებისა, რომელზედაც უნდა დაემყაროს, რომელთაც უნდა განახორციელონ ეს იდეა—ცხოვრებაში. ამისათვის კი ხალხის შეგნებული მოქმედებაა საჭირო.

რა გამოიწვევს შეგნებულ მოქმედებას, თუ შეგნებული მხოლო სარდლები არიან, და ჯარის კაცნი კი უვიცხედ უვიცნი. მათში კი, ხალხში, მასაში შეგნება ისე აღვილად არ შედის, როგორც ბევრს ჩვენგანს ჰგონია: უურნალ გაზეთები ბევრი გვაქვს, ბიბლიოთეკები, „დღეში ხანდახან ნ წარმოდგენა იმართება ქალაქშიო“, როგორც ერთი რედაქტორი თავმომწონეთ გვარწმუნებდა, მაგრამ ეს არამცულ საკმარისი არ არის, ეს პირდაპირ მავნებელია იმით, რომ თვალს გვიხვევს სინამდვილეზედ და ჩვენი საკუთარი ნაწარმოებით ჩვენვე ვსტკებით: ინტელიგენცია ინტელიგენციად რჩება და ხალხი ისევე შეუგნებლად.

მაშ რამ უნდა შეიტანოს შეგნება ხალხში? ხალხი ნაკლებ ეტანება პირდაპირ თეორიით

გადმოცემულ სწავლებას და სიმართლეს. შენის პირით რომ თვით ჰემარიტება ღაღადებდეს—ის თავის ქნევით გიპასუხებს და შეთვისებით კი ვერაფერს შეითვისებს. მერე თუ თავადიცა ხარჭაპანი შენაკური (მერე ჩვენში ვინ არ არის ამისთანა) შენი ღვთის წყალობაც—ღვთის რისხვად მიაჩნია.


სულ სხვაა, როცა რაიმე პრაქტიკულ ცოდნას აწვდი და ამ ცოდნის პირდაპირი ნაყოფი იჩვენე; მაშინ იგი დიდის მუყაითობით ითვისებს შენს ნათევამს და ბევრჯელ კიდევაც გჯობნის განხორციელებაში, რაღაც ბუნებრივად ჩვენი ხალხი მოსაზრებას მოკლებული არ არის.

და აი, როცა ისეთი შედეგებით ხალხი ზურგს მოიმაგრებს, როცა დღიური ლუკმისთვის წელებზე ფეხს არ დაიდგამს, მაშინ თვითონ შეიგნებს იმას, თუ რა უფრო საჭიროა, და რომელი იდეები, რომელი პოლიტიკური მისწრაფებანი მისთვის უფრო ხელსაყრელია. ეხლა ზეიდან ვახვევთ უველა იდეების საბურველს და მაშინ კი თავისუფალი ამომრჩეველი იქნება. ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ შეუგნებელი ხალხის აქეთ-იქით გადაბირება აღვილია. მაშინ კი თვითონ უკარნახებს თავის სურვილებს.

და აი რას უნდა ვეცადნეთ ჩვენ, საით უნდა მივმართოთ ჩვენი ყურადღება, რაღაც მარტო ეკონომიკურად გალონიერებული ხალხია სული-ერადაც ღონიერი და გონებრივადაც ფხიზელი.

რ. ვ.

## ქართული მუზეუმი



ლუზა, ნაპოვნი სადგურ ქარელთან მდინარე მტკვარში (ფიქრობენ, რომ ეს შაჩქენებელია იმისა, გითომ ერთ დროს იმ ადგილამდის მტკვრით ადიოდნენ საფაჭრო გემები).

# ს ი ბ ლ ე რ ა



რამ შემქნა ადამიანად,  
 რატომ არ მოვედ წვიმადა,  
 რომ ვყოფილიყავ მუდამა  
     ღრუბელთ გულ-მკერდის მძივადა;  
     მიწაზე გადმოსაგდებად  
         ცვარად, ან თოვლად ცივადა,  
         არ გამწირავდა პატრონი  
         ასე თხრად და ტივლადა.  
 ცაშივე ამიტაცებდა,  
 თან მატარებდა შეილადა  
     ასე არ დამჭირდებოდა  
     სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა.  
     მზის მოტრფიალე ვიფლიდი  
     სიკვდილის გამაწმილადა:  
         მაღლა ცა, ღაბლა ხმელეთი  
         მე მექნებოდა წილადა  
     გავახარებდი მთა-ბარსა,  
     ოდეს ვნახავდი მწვანედა,  
     მორწყულსა ჩემის ოფლითა,  
         უვავილებს შიგნით, გარეთა.  
     გადაუშლიდი გულ-მკერდსა  
     დლისით მზეს, ღამით მთვარესა  
     სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი  
         მომაკვდავ არე-მარესა.  
 თოვლად ქცეულსა გულშია  
     ცეცხლად იმედი მრჩებოდა,  
     რომ ისევ ჩემი სიკვდილი  
     სიცოცხლედ გადიქცეოდა  
         და განახლებულ ბუნებას  
         ჟელ-ყურზე მოეხვეოდა.

ვაჟა-ფშაველა.

## ითანე მტბევარი

(მოკლე შენიშვნა).

შესანიშნავ ქართულ სასულიერო მგოსანზე მე-  
 ათე საუკუნის მეორე ნახევრისა - ითანე მტბევარ-  
 ზე, როგორც საზოგადოთ ძველ ქართველ მწერლებ-  
 ზე, მეტად ნაკლები საბიოგრაფიო ცნობები დაგვრჩე-

ნია. დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ მხო-  
 ლოდ, რომ 978—988 წ. (ქ. შ.) როდესაც სხვა  
 და სხვა სინქრონიზმების მიხედვით, გადაწერილია  
 ცნობილი მიქაელ მოდრეკილის კრებული \*), ჩვენი  
 მწერალი იტარებდა მტბევარ მღვდელ-მთავრის ხა-  
 რისხს და მაკურთხევლობდა ტბეთში. ტბეთი, შავ-

\* ) ბელთნაწერი წ.-კ. საზოგადოებისა № 425

შეს დაფუძნებული მე-Х-ე საუკუნის პირველ წლებში ტაო-კლარჯელ მთავრის აშოტ კუხის (918) მიერ, ქართველ მწერლის - წმ. მიქეილ-გობრონის აგიოგრაფის — სტეფანე პირველ მტბევარის სახელზე, — წარმოაღვენდა ტაო-კლარჯელთა სალიტერიტურო სკოლის ერთ მეტად თვალსაჩინო სამოღვაწეო ცენტრს. აქ არის ნაშრომი მრთელი რიგი ქართულ მანუსკრიპტებისა. აქ მოღვაწეობდნენ, ან აქაური გვიდრნი იყვნენ, მთელი წყება ქართველ მოღვაწეებისა, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს ქართულ მწერლობაში და ჩვენი სასულიერო კულტურის სხვა დარგებში და იღვწოდნენ როგორც აქ, საქართველოში, ისე საქართველოს გარეშე, ქართულ სამონასტრო ახალშენებში — მთაწმიდას, როგორც მაგ., აკვილა მტბევარი მე-XI საუკუნეში; შემთას (ანტიოქიის ახლო), მაგ., დავით ტბელი მე-Х-ე საუკუნეს გასულს, ანტონ ტბელი მე-XI საუკ., იერუსალიმს, სინის მთას და სხვ.

ტბეთის ეპისკოპოსობა იოვანე მტბევარს ეპურა 995 წლამდე, ხოლო ამ წელს, ან ცოტათი უწინ ჩვენი მგოსანი აუკუნიათ აწყურის სამთავარ-ეპისკოპოსომ — მნიშვნელოვან ხარისხში, როგორც ამას ვვიმტკიცებს ეგრედ წოდებულ ტბეთის 995 წ. შესანიშნავი ოთხთავის<sup>\*\*</sup>) წარწერა: „ქრისტე იდიდე იოანე მამათ-მთავარი პირველ მტბევარი და აწყენ მიერ გაწყვერელი ეპისკოპოსი“<sup>\*\*\*</sup>). მაწყვერელადვე მოიხსენება ჩვენი მლვდელ-მთავარი მე-XI-ე საუკუნის პირველ ათეულში, სვიმეონ ქართლისა კათოლიკოზისათვის გადაწერილ იაკობის ეამის-წირვაში, რომელიც დაცულია ქართულ საეკლესიო მუხუმის ხელთნაწერთა კოლლექციაში (№ 86). ამ, ყველა საბიოგრაფიო ცნობები, რომელსაც ქართული წყაროები გვაწვდიან ამ შესანიშნავ ქართველ მწერალზე.

მე-Х-ე საუკუნე, როგორც ამას პირველ-წყაროები გვიჩვენებენ, ქართულ პიმნოგრაფიის იღუვავების ხანად უნდა ჩაითვალოს. ამ დროს ჩვენ ვხედავთ მრთელ ჯგუფს ქართველ სასურიელო მგოსანთა. მათ შორის, — იოვანე მინჩის შემდგომ, — პირველობა, ეკვს გარეშე, იოანე მტბევარს ეკუთვნის. მისი დიდი ნიჭი აშკარა სიცხადით გამოსჭვივის მის პოეტურ შემოქმედების იმ მცირეოდენ ძეგლთაგანაც, რომელიც საკართველოს გადარჩენია უკულმართ

დროთა მსვლელობას და ჩვენამდის მოულწევია. ეს ნაწარმოები, — სასულიერო საგალობლები და შესხმანი, — რიცხვით 15, რომელნიც, გვიჩვის მატური ვიფიქროთ, დწირმოადგენ მცირეოდენს ნაწილს მლვდელ-მთავარ მგოსანის ნაწერებიდგან და შემოულებულ მიქაელ მოღრევილის შესანიშნავ კრებულში. წრფელი გრძნობა, სადა, ხალხური, მაგრამ ამასთანავე მეტად სურათებიანი, პოეზიის ფერადებით მოქარგული ენა, — სწორედ მომხიბლავად ხდიან ამ ქართულ სასულიერო პოეზიის შედევრებს. რელიგიოზური ელფერი, რომელიც ასეთის ნიჭით, გრძნობით და, შეიძლება ითქვას, მიმზიდველის გულწრფელობით არის შექსოვილი შესხმა — საგალობლების, ხშირად დრამატიულად შემუშავებულ შინაარსთან და ანკარა წყაროსავით სჩქეფს მის ნაწარმოებთა ყველა სტრიქონებიდგან, — ამრავალეკცებს მათს ესთეტიურ ჭიაბეჭილებას. დამახასიათებელი იგრეთვე იოანე მტბევარის შემოქმედებისათვის პატრიოტული გრძნობა, რომელიც გამოსჭვივის ამ ნამდვილ პირების დელ ქრისტიანულ მსოფლმხედველობის მატარებელ პოეტის ნაწერებიდგან, რომელიც, პირველ შეხედვით, დაშორებული უნდა ყოფილიყო სააქაო, სახორციელო მისწრაფება — სურვილებს. წინააღმდეგ ამ მოლოდინისა, ჩვენი მგოსანი არა ერთგზის შესთხოვს ზეციერ მეუფეს მოპადლოს ქართველ მეფეს ძლიერება და მიანიჭოს მას ძლევა ბარბაროსთა და წინააღმდეგომთა ზედა.

იოანე მტბევარის შესხმა — საგალობლები ფორმის მხრითაც არის შესანიშნავი. იოანეს შესხმა წ შორის ჩვენ გვხვდება ერთი ვრცელი, LXII ხუთ ტავპოვან ხანის შემცველი, საგალობელნი, დაწერილი ბერძნულიდგან შეთხსებულ იამბაკოთი, რომელიც აქნობამდის შეუნარჩუნებია ჩვენს მწერლობას. ეს ერთ უძველეს ნიმუშთაგანია წყობილ-სიტყვაობისა ქართულ სიტყვიერებაში. მხოლოდ ერთი იამბიკური საგალობელი უძლიერეს ქართველ სასულიერო მგოსანისა, იოანე მიჩნისა, რომელიც სცხოვრობდა მე-Х-ე საუკუნის პირველ ნახევარში, გორგი II იფხაზთა მეფის (921—955) დროს და, შესაძლოა, ორიოდე ნიმუშიც ქართველ სასულიერო პოეტებისა — ფილიპესი და გიორგი ბერისა, — ქრისტოგრიულად წინ უსწრებს მას.

იოანე მტბევარი, როგორც სჩანს, ვანთქმული ყოფილა არა მხოლოდ მგოსანით, არამედ წმიდა ცხოვრებით და ზნეობრივი უმშიკვლობა — სიმაღლით. მისი თანამედროვე, დიდი განათლებული შემკრები საგალობელთა უძვირფასესი კრებულისა — მიქაელ

<sup>\*\*) დაცულია სპბ. საიმპერატორო საჯარო წიგნთ-საცავში, კრება იოვანე ბატონიშვილისა.</sup>

<sup>\*\*\*) იხ. პროფ. ცაგარელი, ცვედლები და კრებები I, გვ. 71.</sup>

მოდრეკილი, თვით სასულიერო შეოსანი, — უწოდს ჩვენს მწერალს „ღმერთ-შემოხილად“, ხოლო მისს შესხმა — საგალობლებს თქმულებად „სიბრძნითა სულისა წმიდისათა“. ეგრეთვე სურათზე, რომელიც მისვე სიცოცხლეში არის შესრულებული, ითანება თავი შემოხილია წმიდანის შარავანდედით.

შიქაელ მოდრეკილის კრებულს, რომელსაც დაუკავს ითანება მტბევარის ნაწარმოებნი, — დაუკავს მისი სურათიც, რომელიც უდიდეს განძად უნდა ჩაითვალოს: ეს არის ერთად ერთი ნამდვილი, თანამდებროვე სურათი ძველ-ქართველ მწერლისა.



### ითანება მტბევარი და ბასილი კესარიელი

სურათი ჩართულია „კლდის“ დღევანდელ №-ში. სურათი (სამწუხაროდ ღაზიანებული) შესრულებულია თვით მწერლის სიცოცხლეში, 998—988 წწ., და თანამედროვეა მიქელის ზემო მოხსენებული კრებულისა. ითანება სურათს კრებულის ტექსტის ხელით აწერია: „ითვანებ მტბევარი ეპისკოპისი“; რუქაზე რომელიც ხელში უპყრია ჩვენს მღვდელ-მთავარს იკითხვის: „მომიტევე მე კანდიერებად არა ღირსასა“. მის გვერდით დახატულია ბასილი დიდი კესარიელი, რომელსაც კრებულის იმ გვერდზე, რომელზედაც მოთავსებულია ეს სურათები, ჩვენი მგოსანი მიუძღვნის შესხმას. ზემომოყვანილი ითანება ხელში ქონებულ რუქის წარწერა —

ამოღებულია ამ შესხმულგან და წარმომადგენს შიმანთვას კესარიელ მღვდელ-მთავროსადმი.

დასასრულ, დაცულია ჩვენი მწერლის ფაქსიმილები. ჩართულია ის ეგრედ კრისტენული „სვანურ მანუსკრიპტი“ საეკლესიო მუზეუმის ხელთნაწერში № 19.

### 3. ინგოროვა.

## პ რ ე ს ა

გაზეთ „იმერეთში“ ვინმე ის — არა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მარშლის არჩევას ეხება და ბევრ ახირებულ აზრებს აპნევს გზა და გზა.

უპირველესად ყოვლისა უცნობი ავტორი ავტორის დიდის ფერადებით ის მომენტს, როდესაც თავად-აზნაურულ ასპარეზზედ პირველიც გამოჩნდა თავ. ბაგრატიონი. როგორც ავტორი დაისკვნის ბაგრატიონმა მაშინ იგდო ხელში თავად-აზნაურობის საქმეთა სადაცე, როცა ეს უკანასკნელი ფერმიხილი და ღონებ გამოცლილი ეგდო „გულ-გა-პობილ გმირივით“.

და რა გასაკვირველია, ჰუკიქობის ვინმე ავტორი და მოჰყავს არა ნაკლებ ვინმე ჯორჯიერის სიტყვები, რომ:

„როცა გმირი გულგაპობილია, მხოლოდ მაშინ გაბედავს და მიეპარება ყორინი ლეშ საჯიჯვნელიც“.

ეს აფორიზმი აღმართავს აზრის გასაშუქებლად არის მოყვანილი.

ჩვენ ვიცით აგრეთვე ერთი აფორიზმი, რომელიც, სამწუხაროდ, ჯორჯიერის არ ეკუთვნის:

— როდესაც „სამოვარი“ მთლად აღულდება, მხოლოდ ვაშინ აღგამს დიასახლისი ზედ „ჩაინიკა!“

ეს ისე გენიალური არ არის, როგორც ჯორჯიერის „მშვენიერი ნაწყვეტი“, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისეთივე აპოკრიფიულია, როგორც პირველი.

მაგრამ დაუბრუნდეთ ჩვენს ცხვარს, როგორც ამბობენ ფრანგები.

ბატონი ისარა ეხება აგრეთვე ახალს მარშალსაც. უნდა ესთქვათ, რომ ახალ მარშალს ბატონი ის-არაზედ ნაკლებ არ ვიცნობთ და მის ღირსებაზედ ლაპარაკის იმდენივე უფლება გვაქვს, რამდენიც ბატონ ის-არას.

ჩვენ არ ჩამოვთვლით ამ ღირსებებს, რადგა-

ნაც თავის დროზედ უკვე გვქონდა ა. იზედ ლაპარაკი, მაგრამ როდესაც ბატონ ის-არას სუსტ ან ლირსებებს „კიდევ ერთი“ ღირსებაც შიუმატას, სახელდობრ ისა, რომ თავიდი კ. აფხაზი დიდებული ილია ჭავჭავაძის დისტულია.

— და მარტო ესეც კმარი სიმპატიის მოსაპოვებლად, ჩვენი სურვილია ჯერ წერტილი დაუსვათ ამას და შერე ერთი აფორიზმი ჩვენის მხრითაც მივაწოდოთ ბატონ ის-არას.

მართალია, ეს აფორიზმი ბატონ ჯორჯიერის არ ეკუთვნის, მაგრამ რაუყოთ რომ იმავ დიდებული ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ილია ჭავჭავაძე სომხის პუბლიკისტ არწირუნზედ შემდეგს ამბობდა:

— თუმცა ძმის პროფესორობა არა პროფესორ ძმისთვის ვერატერი თამასუქია, მაგრამ განდიდების მისაღწევად მისი მეგობრები ამას არასოდეს არ ივიწყებენო.

ჩვენ დანამდვილებით ვიკით, რომ თავიდი კ. აფხაზი ამისთანა „თამასუქებით“ არასოდეს არ ხელმძღვანელობდა და თუ კენჭი იყარა მარშლობაზედ, არა როგორც დისტულმა ჭავჭავაძისამ, არამედ როგორც თავიდნი კ. აფხაზმა, რომელსაც საკუთარი გონება აქვს და რომელმაც კარგად იცის, რომ ამ გონების „სესხად“ აღება, თუ გინდ გენიოს ბისიაგან შეუძლებელია.

ეს ხომ იგივე ნეპოტიზმი იქმნებოდა, ესე იგი „ძმისტულების“ და დისტულების გამწერება, რაჩედაც ასე ბევრს ლაპარაკობს იმავე წერტილში ბატონი ის-არა და რაშიც ბრალსა სდებს თავ. ბაგრატიონს და მ. მიჩაბელს.

და ეს იქმნებოდა არა უბრალო ნეპოტიზმი, არამედ „მიცვალებულთა ნეპოტიზმი.“ ამას გარდა ეს იქმნებოდა დიდი შეურაცხოფა თვით თავ. აფხაზისა. იმ ფაქტს რომ კ. აფხაზი ილია ჭავჭავაძის დისტულია ჩვენ ძალიან სადათ უყურებთ.

თავ.. აზნაურობამ აირჩია თავიდი აფხაზი, როგორც აფხაზი და მხოლოდ ბედნიერ შემთხვევად მიგვაჩნია, რომ ისედაც გონიერ ადამიანს ჰყავდა აგრეთვე „გენიოსი ბიძა“, რაც არ შეგვიძლიან ვიფიქროთ ბატონ ის-არაზედ, რომელსაც ბიძები აღმად სრულებით არა ჰაყვდა გენიოსები, რომ ასე ეპოტინება სხვის „დიდებულ ბიძებს“.

გაუ. „მერცხალში“ არა ჩვეულებრივი კორესპოდენცია იყო დაპიჭილი, შემდეგის სათაურო:

## აკაკი ქართულ სალაშვილ შემოსიშვილის პეტერბურგში, რომელიც სავსებით მოვცეყავს.

„ვეებერთელა დარბაზი სათავად-აზნაურო კრებულისა ხალხით გატედილია. უმთავრესი მიზეზი გახლივთ არტისტი სობინოვი.

სობინოვი კერპია განსაკუთრებით ახალგაზრდობისა. ვინ იცის რამდენი საათი შესწირვია მის მოსამენად ბილეთების შოვნის, მაგრამ ამაოდ. გაუგონიათ რომ მისი ტკბილი, ნარნარი ჩმა ატკბობს სულს, ატკბობს გულს, ანეტარებს სულიერ განწყობილებას, და უხილავი ნექტარით დამზადოლი მსმენელი მეშვიდე ცაზედ გადაყავს, რომ ერთი წუთით მოსწყვიტას ის იმ „საშინელებათა საბუდარს“. რომელსაც დედამიწა ეწოდება. ეს სობინოვი მღერის დღეს აქ, ქართულ სალამიზე; და იმ ხალმაც იწყო დენა. მარა ჩან გამოცდილებით იცის, რომ ასეთ სალამოებზე არტისტების გვარი უმეტესად სარეკლამოდ არის. შეპრიტება არტისტი — ვიმღერებო, წინაღმით კი უეცრათ „ავად გახდება“. ამიტომაც არის, ვინც მოდის, პირველ ყოვლისა, სანამ ბილეთს იყიდდეს. კითხულობს: მართლა იმღერებს სობინოვი თუ არა. თუ იმღერებს შინაურებსაც უნდა გავაგებინო, ისინიც მოვლენო. სკეპტიკებს აჯერებენ და იმ კაცი კაცს მოსდევს და დგება ისეთ საზოგადოება, რომელიც იშვიათია ასეთ სალამოებზე.

სალამო გახსნა სობინოვმა. მის გამოსვლის საზოგადოება მქუხარე ტაშით მიეგება. მოჯადოებული საზოგადოება ნას მანამდე არ უშვებდა სცენიდან, სანამ არ გამოაცხადეს — მეორე განყოფილებაშიც იმღერებსო. მეორე განყოფილებაში ბალალია თამაშის დროს, ფოიედან ტაშის ცემის ყრებაშია. ხმა თანდათან სათეატრო დარბაზს უასლოვდებოდა და უფრო მეტად ქუხდა და გრგვინავდა. იმ კარებთან გამოჩნდა ლეთაებრივი სახე მადლიანი პოეტისა. ვერცხლის ძაფების ჭალარა ნაზაობინებს, გაბრწყინვებულ სახეზე სიხარულის და აღელვების ციალი დასრიალობენ. მას გარს ახვევია ქულაჯებში გამოწყობილი — არწივის ცვირა, ქუჩუქია თმიანი“ თანამემამულებთა გუნდი. მანდალინა

შესწყდა. დარბაზში უკან მოიხედა, ზეზე წამოიჭრა და ტაშმაც დაიგრიალა. პოეტის შეხვედრა ოვაციად გადაიქცა. ტაშის ცემის აკომპანიმენტით პოეტი პირველ რიგში მიაცილეს. ეს პოეტი გახლდათ აკაკი. შეტად ეფექტური და მკრძნობიარე იყო ეს მომენტი.

შეორე ისეთი მომენტი იყო, როცა სობინოვმა მოიწადინა პოეტის გაცნობა და მასთან პარტერში შევიდა. ორი ერის ხელოვნების წარმომადგენელი ერთმანეთს შეხვდა. პოეტიამ ქნარს ჩაუქროლი, სათუთმა სიმებმა წკრიალი მოჩავს და მისი იდუმალი, ნაზი ხმით მოხიბლული საზოგადოება ფეხზე წამოდგა და პოეტის და ორტისტის ერთომეორებზე გადაჭრობილი ხელები—ეს ემბლემა ორი ერის კულტურის ნათესაობისა და კავშირისა ტაშის გრიალით აღნიშნა.

სობინოვის გამოწვევას არც ეხლა უჩნდა დასასრული. საზოგადოება დაწყნარდა მხოლოდ მაშინ, როცა გამოაცხადეს—უკვე წავიდა სახლშიო. მოეწონა საზოგადოებას აგრეთვე მაკაროვი და დოლონაძე, რომლებიც არა ერთხელ გამოიწვიეს და რამდენჯერმე გაამეორებინეს სხვადასხვა რომანსები. და ბოლოს გაიმართა ცეკვა—ლეკური, კინტოური, უზუნდარა. კავკასიური ცეკვა საზოგადოთ ძალიან მოსწონთ და რაღა თქმა უნდა ამ საღამოსაც მოეწონათ, მით უმეტეს, რომ წელს მაცეკვრები საერთოდ კარგები იყვნენ, განსაკუთრებით ქალები.

საღამოს დასრულების შემდეგ, როგორც შემოღებულია, გაიმართა ნადიმა. საკმაოდ დიდ ზალაში ჩამწკრივებული იყო პატარა სტოლები, რომელთაც თავს დასტრიალებდნენ კელნერშებად ჩვენებური კურსისტები. მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ სტოლები არ ყოფნიდა. აი აგერ, შეუ აღგილას, უკელაზე უფრო სინტერესო სტოლია. სხედან—პოეტი აკაკი: დეპუტატები—ა. ჩხერიველი, მ. სკობელევი, (დეპ. ჩხეიძე არ ყოფილა. ის ერთ კვირაზე მეტია რაც ავად არის), ყოფილი დეპუტატი ე. გეგეშვილი, პოეტის ვაჟი და ორითდე კიდევ სხვა. ეს, ასე ვსთვით, იმავ დროს „პოლიტიკური“ სტოლიცაა. სმენა და გაგონება—გაისმა ხმა. სტოლს ირგვლივ შემოეხვივნენ. ხალხი სმენად გადაიქცა. ჭიქას იღებს დეპ. ჩხერიველი და დაახლოვებით შემდეგს ამბობს: ისეთი დიადი ნიკის მგოსანი, როგორც არის აკაკი, უტყუარი მაჩვენებელია ჩვენი ეროვნული კულტურის. ის არის ამასთანავე ემბლემა ჩვენი ერის მთლიანობისა. ერი მთლიანია, მაგრამ იმავე რდოს დანაწილებული. ერის მებრძოლ რაზ-

მებად დანაწილება კი მაჩვენებელია მისი პროგრესის, წინმსვლელობისა. ეს დანაწილება საზოგადო არ უშლის ხელს მას თავის არსებობის დაცვაში. ნუ იფიქრებ მგოსანი, რომ ქართველი ერებუშულში ნაკლებ დაიცავს თავის არსებობას, ვინერ—შესტუმანილი წარსულში. თუ წარსულში მას სათავეში ედგა მაღალი წოდება, დღეს მის მებაირახტრედ გამოსულია დემოკრატია, რაიცა საკმაო თავდებია იმისა, რომ გამარჯვება დღეს უფრო ადვილია. შენ ხარ მამა ჩვენი ერისა, მაში გაუმარჯოს მხცოვინ აკაკის და მის შვილს ახალგაზრდა საქართველოს.

დარბაზმა ტაშის ცემით დაიგრიალა. ა. ჩხერიველის საპასუხოთ პოეტი შემდეგს ამბობს: როცა მე და ჩემი ამხანაგები სამოქმედო ასპარეზზე გამოვედით მესამოცე წლებში, ისე ცოტანი ვიყვით, რომ იძულებული შევიქენით ერთად გვევლო, ბავშვებივით ერთმანეთს ვებლაუჭებოდით და ეს იმიტომ, რომ ისედაც მცირე გუნდი კიდევ უფრო არ დაჭუცმაცებულიყო. დღეს კი სხვა მდგომარეობაა. ჩვენ ერს წამოეზარდა ახალი თაობა და მისი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია წარმოდგენა, ამოდენა ხალხმა ერთათ იაროს. ის უთუოთ უნდა დანაწილდეს და თვითეულმა თავის გზა იირჩიოს, მარა უკელა გზა ხმა რომში მიდის. ამ გზებზე სიარული ბოლოს და ბოლოს მაინც ერის სამსახურს მოასწავებს და მის განვითარებას ხელს უწყობს.

პოეტის სიტყვა ტაშის ცემაშ დაპფარა.

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა დეპ. სკობელევის. როგორც წარმომადგენელი იმ მხარის—ამბობს ის—საიდანაც თქვენა ხართ, ნებას ვაძლევ თავის თავს ივიღო ჭიქა თქვენდა სადღეგრძელოთ. შენი ვერცხლებრივი ჭალარა, ეს სიმბოლო წარსულის ბრწყინვალე დღეებისა, და ის აღფრთვანებული შეგებება, რომლის მოწამე მე გავხდი, უტყუარი მაჩვენებელია რუსის და ქართველი ერის მჭიდრო სოლიდარობის ნამდვილი დღესასწაულისა, იმ დღესწაულისა, რომელიც გვაახლოვებს იმ დიად მმავალთან, რომლისაკენ ასე მიიღოვიან ორივე ერის საუკეთესო შეილები. თქვენა ხართ ერთი საუკეთესო წარმომადგენელი არა მარტო ქართველი ერისა, არამედ მთელი კაცობრიობისა, რითაც მე ჩემს ქართველ ამხანაგებთან ერთად ასე ვამაყობ. ხანგრძლივი ტაშის ცემა. დეპ. სკობელევის საპასუხოთ პოეტმა სთქვა / მე დიდი სიამოვნება მაგრძნობინა თქვენმა სადღეგრძელომ. თქვენ კეშმარიტება ბრძანეთ— ჩვენ მართლა რომ დიდათ ვაფასებთ მმობას,

ერთობას და მევლინობას რუსის ერებთან. მართალია რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომელიცაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ისეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროთ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელის-ხელ ჩაკიდებით სიარული, არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა. მე გულწრფელად ვისურვებ, რომ ამ ახალგაზრდა რუსეთიდან ნაცვლად ტიმოშინთა თაიგულისა, მომავალშიაც სკობელევთა თაიგული მიგველოს.

აკაკის ამ სიტყვამ, რუსულათ წარმოთქმულშა როგორც შინაარსით, ისე თავის პოეტიური ფორმით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დროს მოვიდა საღამოში მონაწილე ცნობილი არტისტი მაკაროვი. გაუმარჯოს ქართველი ერის საუკეთესო შეიღლა აკაკის — შემოსძახა მან სავსე ჭიქით და ზედ თავის ხავერდის ხმით ისეთი მრავალეამიერი მიაყოლა, რომ დარბაზი ტაშით ზანზარებდა.

მაკაროვის შემდეგ მშენიერი სიტყვა წარმოსთქვა რუსულად ე-გეგეჭკორმა. მე ბედნიერი ვარ—ამბობს ის, რომ სწორეთ აქ, რუსეთის სატახტო ქალაქში, ვადლეგრძელო ის, ვინც შეადგენს ჩვენი ერის სიამაყეს. თქვენი სიტყვა ერთა სოლიდარობაზე მით უფრო სიგულისხმოა, რომ ის ითქვა აქ, რუსეთის ცენტრში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იმ ერს, რომელმაც ასეთი დიდებული მეოსანი წარმოშვა, ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა; რომ ის შესძლებს თავისი წვლილი შეიტანოს საკაცობრიო კულტურის საღარიში და მით შესაფერი საპატიო ალაგი დაიჭიროს კაცობრიობის კრებულთა შორის. ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად გვწამს ჩვენი ერის მომავალი. მან ეს უკავ დაგვიმტკიცა ახლო წარსულში, როცა ის ასე მედგრად გამოვიდა ბრძოლის ველზე. ამ მომავალის დაახლოვება, უფრო იდვილად მიხშევა კი მას შეუძლია რუსეთის სხვა ერებთან მჭიდრო კავშირით. მაშ გაუმარჯოს ამ კავშირს.

უოფილი დეპუტატის სიტყვას დასტური დასტურა დამსწრეთა მხერვალე ტაშმა. გეგეჭკორის შემდეგ მოკლე სიტყვით მიმართა პოეტს ირტისტმა დოლონაძემ და შემოსძახა. მას ბანი და მოძახილი მიაყოლეს დამსწრეთ და ისეთი მრავალეამიერი გაისმა, რომ უველანი ექსტაზი მოვიდა. ტაშის ცემას დასასრული არ ჰქონდა. როცა ცოტათი სიჩუმე ჩამოვარდა, სკამზე აღის შუახნის კაცი, პრო-

ფესიით ინუინერი (გარი ვერგავიგეთ) და ამბობს: ერთად ერთი ერია რუსეთში, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ნაციონალურ სივიწროვეს. ქართველი ერით, იმ ერით რომელიც სდგას ჩირვეჭურუვებში, რომელიც გვაძლევს საუკეთესო ბელადებს აქ ცენტრში და ასე მედვრად იბრძვის სიყოველთაო კეთილ-დღეობის დასამყარებლად, შეუძლია იამაყოს, არა მარტო ქართველს, არამედ ჩვენც. ამ ერის სიღიადე კიდევ იმით მციცდება, რომ მას ჰყავს პოეზიის ისეთი კორიფეი, როგორიც არის თავ. აკაკი წერეთელი. მე ვსვამ სადღეგრძელოს დიდებული პოეტისას და მის პიროვნებაში განსახიერებით იმ ერის აუვივებისათვის, რომელსაც ეწოდება ქართველი ერი. დარბაზშა ტაშის ცემით დააჯილდოვა უცნობი ორატორი და მრავალეამიერი შემსხახა.

ვახშამმა, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტის პატივსაცემ პატარა დღესასწაულიდ გადაიქცა, დილის ხუთ საათამდე გასტანა. ხუთ საათზე პოეტი ბინაზე გაემგზავრა და საზოგადოებაც დაიშალა. საღამოს დაესწრო დევ. გელოვანიც.

### "მერცხალი" № 23.

შეტერბურგი.

(ვბეჭდავთ სტილის შეუცვლელად და მხოლოდ ცოტაოდენი ორთოგრაფიის შესწორებით).

## ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამდლოლის

### ზორბეგი

მაზრის წინამდლოლებისადმი.

საერთოდ კავკასიისა და კერძოთ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სოფლის მეურნეობას ეწევა და ერთად ერთი წყარო მისი კეთილდღეობისა მიწას, რომელსაც იგი ამუშავებს. სოფლის წვრილი მემამულე, როგორიც არის ქუთაისის გუბერნიის მიწის მფლობელი, მეტად გაქირებულ პირობებშია იმის გამო, რომ ის საშუალება, რომლითაც იგი მიწას ამუშავებს, ერთობ მცირე სარგებლობას აძლევს და რაკი სხვა წყარო შემთხვევლისა არ მოეპოება, ნახევრად მშიგრი საკოდავ

მდგომარეობაშია. გუბერნიის მცხოვრებთა რიცხვი კი მატულობს, მოთხოვნილება დღითიდლე იზრდება. ცხოვრება გაძვირდა, სხვათა შორის, იმის გამოც, რომ მიწა გამოიფიტა და გართულებული სულიერი მოთხოვნილება ხალხისა კი მეტს ხარჯებს მოითხოვს; სოფლის მეურნე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და სახსარი ვერ მოუძებნია, რომ ამ აუტანელ გაჭირებას შეებრძოლოს, თავი დააღწიოს; ამ გაჭირებას ხელს უწყობს კიდევ ის გარემოება, რომ გუბერნიაში არ არის ისეთი დაწესებულება, რომელიც ავრცელებდეს სოფლის მეურნეობის ცოდნას და ამ მეურნეობის ტეხნიკური გაუმჯობესება შეეძლოს სოციალური და ბუნებრივი პირობების მიხედვითაც. გუბერნიის მდგბარეობის სხვადასხვა სახის წყალობით სოფლის მეურნესაც სხვადასხვა სახის ბრძოლაც უხდება ამ პირობებთან. ჩვენ არ მოგვეპოება დიდი მამულები, რომ შეგვეძლოს გავიჩინოთ მანქანები, იარაღები, გავაუმჯობესოთ საქონლის ჯიში, მოვიპოვოთ თესლეული. ძველათგან დარჩენილმა მიწის დამუშავებამ სრულიად გამოფიტა ნიაღავი და მემამულე არ დაეძებს მის გაპოხიერებას; გვალვა და აღმოსავლეთის ქარი სრულიად იღუნებს მეურნის ენერგიას, რომელიც უმწეოდ თავს დაჰყურებს მისი შრომის დალუპვას; ქაობიანი იუარებელი აღვილებია, რომელთა ამოსაშრობად მეპატრონეჟ სახსარი არ მოეპოებათ; ტყე ულვოდ, დაუზოგველად იჩენება, საქრულები არ შენდება, კულტურული მცნარენი არ ირგვება და მთელი გუბერნია მარტო სიმიდა და ვენახს დასჩერებია და ამ-თი კულტურის საქმეც ვერ მიღის სასურველად. ისეთი ვითარების წყალობით, გასაკეირალიც არ არის, რომ ქუთ. გუბ. მცხოვრები უკიდურეს სილარიბებში ჩავარდნილია. მომავალში მცხოვრებთა ყოფა უფრო მძაფრსა და მწვავე ხასიათს მიიღებს, უკეთუ ზომებს არ მივიღებთ, რომ გუბერნიის მცხოვრებთა მშრომელი ნაწილის კეთილმდგომარეობისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას ხელი არ მივივით. ამ სახით ჯერ კიდევ შეიძლება დაარსდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც შემწეობას მისცემს ჩვენს სოფლის მეურნეს ცხოვრების ულმობელს პირობებს შეებრძოლოს. საჭიროა ხალხში სოფლის მეურნეობის ცოდნის გავრცელება, ზომების მიღება მიწის განოყიდებისათვის, ქაობების ამოშრობა, მორწყვა, სამეურნეო იარაღების საწყობების გამართვა, წესიერი დამუშავება მიწისა და ტყის რიგშე სარგებლობა, საქრულების გაშენება და საზოგადო მამულის ლირებულების აწევა და ამით, რაც კი მო-

ხერხდება მეტი სარგებლობის მიღება. უკელა ამის შესრულებას, ცხადია, ჩვენი სოფლის მუმაშულე ვერ შესძლებს, რადგან ამას დიდი ფრანგი და, ამას ვერ შესძლებს ოვით საზოგადოება, და ამ მაგრამ ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიულ ექნება ამ კუთ პირობებთან ბრძოლა გაუადვილოს სოფლის მეურნეს, თუ იგი თანხას გადასდებს ამ საქმისთვის. და ამ თანხის გამოღებისათვისაც მარჯვე დროა დღეს. როგორც ვიცით, დროებით — ვალდებული გლეხების გათავისუფლების გამო მემამულენი ხაზინიდან ფულს მიიღებენ; თითოეული მემამულე ამ აღებული ფულით რაიმე დიდი საქმის გაკეთებას ვერ შესძლებს, რადგან ცალ-ცალკე ჯამი ამ გამოხაყიდი ფულისა მცირე და უმნიშვნელო იქნება, ხოლო საერთოდ კი კარგა ძალი თანხა იქნება, რომლითაც შესაძლო გახდება აღდგენა და წარმატება გუბერნიის მცხოვრებთა სოფლის მეურნეობის ცხოვრებისა. რასაკვირველია, იმის იმედი ცოტაა, რომ მთლიად ეს მიღებული ფული გადაიდვას ამ საქმისთვის თანხად, მაგრამ პირადი სარგებლობისა და სრულიად გუბერნიის ინტერესებისთვის, დარწმუნებული ვარ, ყოველი მემამულე ის ფულიდან 25%, გადასდებს ჩვენი ქვეყნის სასარგებლო საქმისთვის და გალატაკებულ მეზობელს მრსას, სოფლის მეურნეს ფეხშე დააყენებს.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, აუწყოთ თქვენი მაზრის თავად აზნაურთ მომავალ კრებაზე, ზემორე აღნიშნული მოსაზრებანი სამელიორაციო თანხის დაარსების შესახებ. ამასთან საჭიროდ ვრაცხ გაცნობოთ, რომ ამ თანხის სარგებლობის წესები ცალკე შემუშავდება და როცა მას მიიღებს თავად-აზნაურთი გუბერნიის კრება, იგი შესაფერისად დადგენილი იქნება ცალკე-ცალკე შემთხვევისათვის, იმედი მაქვს, თქვენო ბრწყინვალებავ, ყოველ ზომას მიიღებთ და ჩვენი გუბერნიისთვის ამ დიდად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებას ხელს შეუწყობთ.

## პორს საზოგადო

### საქმეებისაგან!

ამ სათაურით ვკითხულობთ უცნაურ ამბავს, მოყვანილს ცნობილ რუსულ კონკრეტულ ეურნალში „ინჟინერიე“ იმის შესახებ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად იმერეთის სახალხო სკოლების

დირექტორს გაუცია ბრძანება ყველა სოფლის მასწავლებლებისათვის, რომ მათ ექრძალებათ საზოგადო საქმეებში რაიმე მონაწილეობის მიღება, მაგალითად, კომპერატიულ დაწესებულებათა და-არსებაში, სახალხო უნივერსიტეტში მუშაობისა, სოფლის სამკითხველოების გახსნაში, ქსენონების მოწყობაში და სხვა ამგვარ კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობაში. სწორე გითხრათ ამ მმავს არ დავიჯერებდით, თუ უკანასკნელ რერეგის სოფლის მასწავლებლების აწიოკების მოწენი არ მყოფილიყვით. და არც იშიტომ დავიჯერებდით, რომ შიდა რესერის აღმინისტრაციის „მეტოდები“ ხალხის „განათლება განვითარების“ საქმეში საქართველოში ასე ცნობილი არ იყო... მაგრამ მადლობა ღმერთსა!

ჩვენც ველირსენით ამ გვარ „კულტურტრეგისტრებს!“

ცნობილ „ციცერნაკის“ — ტერგანსპარანცის—გალობას, შეუერთდა ახლად გადმოტრენილი „კურსკელი ბულბული“... ბ. კრუპსკიც მექ, ერქუ, ლევოი, პრავოი!

აშენდა სახალხო განათლება საქართველოში!

ეკალი.

\*\*\*\*\*

## ქალთა საკითხი

ქალთა საკითხში, ჩვენ ქართველები, ისევე ჩამორჩენილები ვართ განათლებულ ხალხთან შედარებით, როგორც სხვა ბევრ რამეში.

ავსტრიალიაში, ნორვეგიაში, უმეტეს ნაწილ ამერიკაში, ქალებმა თანასწორი უფლება მოიპოვეს. ავსტრიალიაში ქალები მამაკაცებთან ერთად კანონმდებლობაში იღებენ მონაწილეობას. მათმა მონაწილეობამ დიდი სარგებლობა მოუტანა მუშათა საკითხის გადაწყვეტას, ბავშვების აღზრდას, დიდი ბრძოლა გაუწია უოველ-გვარ უზნეობას, შეამცირა ლოთობა, უზრუნველ ჰყო სიბერე

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენ, ჩვენდა საბედნიეროდ იმ გზას უნდა დავადგეთ, რომელიც ზემო მოხსენებულ ქვეყნებში ქალებმა იორჩიეს.

ინგლისში, ამერიკაში, საფრანგეთში, იაპონიაში ნერგით კი ძლიერ თავგანწირულად იბრძვიან ქალები თავის უფლებათათვის.

ასე ვიწრო ფარგალში ქალის მოვალეობის მომწყვერევა, როგორც ხოგიერთს სურს, შეუძლე-

ბელია, რადგან ქალი არა თუ დედა მშობელი, არამედ აღმზრდელიც და საზოგადოების ისეთივე წევრია, როგორც მამაკაცი.

შეილის ყოლი ქალისთვის უფრო ცუდი არც მოთხოვნილება, არც მოვალეობას აღმზრდება — ეს პირდაპირ ბუნების მოვლენაა.

ქალის მოვალეობაა შვილი აღზარდოს. თუმცა ეს კაცის მოვალეობასაც შეადგენს, მაგრამ ფაქტოურად ქალია აღმზრდელი. დედას, როგორც აღმზრდელს დიდი ცოდნა-შეგნება სჭირია.

დედა აღმზრდელი უნდა იყვეს თანასწორუფლებიანი, მაღალ იდეალებით გამსჭვალული, რომ სასარგებლო მამული შვილი აღზარდოს.

ქალის უუფლებოს — მონას, შეუგნებელის, მნილოდ მონად შეუძლიან აღზარდოს შვილი.

მრავალი ქალია, რომელიც არა თუ დედობას, მამობას უწევს შვილებს. რამდენი ქალია, რომელიც არამთეუ თვითონ ინახავს თავის თავს საკუთარის შრომით, დედმამისაც ეხმარება, ხშირად ობოლ დებსა და ძმებსა ზრდის.

ქალი, როგორც დედა, უზრუნველ ყოფილი უნდა გახდეს ნივთიერად, — ეს სიკეთე იქნება როგორც დედისთვის, ისე შვილისათვის. მაგრამ ეხლა ჩვენ ამას ვერ ვხედავთ ცხოვრებაში და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ქალები კანონმდებლობაში მონაწილეობას მიიღებენ.

ჩვენ უნდა შევხედოთ ცხოვრებას ისე, როგორიცაა და ამ ცხოვრებამ სხვა და სხვა მიზრზის გამო ქალი იძულებული გახადა თავის ბედზედ და მომავალზედ თვითონ იზრუნოს და იბრძოლოს თავის არსებობისათვის და უფლებისათვის.

იყო დრო, როცა ქალი ბატონი იყო და ეს ბატონობა დაკარგა.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ბატონობა მცდამ არავის შერჩენია.

ძველად მონობას ბატონობა მოსდევდა, ბატონობას კი მონობა.

ქალები არასოდეს თავის მონობას არ ურიცდებოდნენ, და თავგანწირულნი იბრძოლინენ; აქედან წარმოსდგა ამაზონობა. „ამაზონობა, ამბობს ბახოვენი, არ იყო რომელიმე ქვეყნის ან ტომის კუთვნილება, არამედ ყველგან და უოველ ტომში, ქალების ნამეტან დამცირებას ამაზონობა მოსდევდა ე. ი. ქალების ბრძოლა თავისუფლებისთვის.

იმისდა მიხედვით, განაგრძობს ბახოვენი, ქალები იმარჯვებოდნენ თუ კაცები, კაცობრიობის წარმატება ან დაქვეითება მოსდევდა.

როდესაც ქალები იმაჯვებდნენ, კულტურა მაღლდებოდა: ქალაქები შენდებოდნენ, მიწის დამუშავება ფართოვდებოდა, მამაკაცები უფრო მამაცნი და გულადნი ხდებოდნენ.—წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც მამაკაცები იმარჯვებდნენ, კულტურა ძირს ეშვებოდა მამაკაცნი ყოველ დაბალ სიამოვნებას ეწეოდნენ, ზნეობით ეცემოდნენ, მთლად ლაპარადებოდნენ, დედაკაცნი მათ ზიზღით ზურგს აქცევდნენ".

თუმცა მამაკაცები ფიზიკურ ძალით იმონავებდნენ ქალებს, მაგრამ მათი სულის დამონავება ვერ შესძლეს.

ქალები, როგორც ევის ჩამოშავალნი, ყოველთვის მზად იყვნენ მათთვის ოკრძალული „ხილი ცოდნისა და მეცნიერებისა", ეგემთ. მათში ყოველთვის ღვიოდა ნაპერწყალი განათლებისა, ქალებს შორის გამოსიოდნენ მცოდნე საპატიო პირები: ექიმი, მკითხავი, ლმერთების მსახურნი.

აღმოსავლეთში ქალები მეტად დამონავებული იყვნენ. დასავლეთში ძველად სწამდათ, რომ ქალს შეუძლია უფრო დაახლოვებული იყვეს ლმერთებთან — და მომავალი იწინასწარმეტყველოს. ხალხი აფასებდა მათ. ამიტომაა რომ 12 თლიმბის ლმერთთა შორის 6 ქალია და ათ-ნა პალადა, რომელიც თვით ზევსის თავიდან გამოვიდა, ითვლებოდა — სიბრძნის და ცოდნის ლმერთად.

კაცები იმონავებდნენ ქალებს მხოლოდ მაშინ როდესაც უკანასკნელნი შეუდგებოდნენ ცხოვრების მოწყობას. ხალხთა ისტორია მოგვითხოვთ: როდესაც რომელიმე ხალხი მყუდრო, განათლებულ ცხოვრებას ეწყობოდა, მაშინ უფრო ფიზიკურად ძლიერი და ბარბაროსული ხალხის მსხვერპლიდ ხდებოდა, ეს ბედი ეწვია ქალებსაც. ასე ხსნიან ქალების მონობას ძველი ისტორიის მკვლევარნი ბახოვენი, მორგანი და სხვანი. საშუალო საუკუნეებში თითქო ბედია გაუდიმა ქალებს.

მაგრამ ეს აზრი შეცდომად მიაჩნია შაშკოვს (историческая судьбы женщинъ)

საშუალო საუკუნეებში ბატონობდა სასულიერო წოდება, რომელიც სასტიკად სდევნიდა ყოველ თავისუფალ აზრს. რამდენი აღამიანი დასწვეს კოცონზედ. ეს ბედი არ ისცდა ქალებსაც. არათუ თავისუფალ აზრისთვინ, მწიგნობრები ბევრ სულ სხვა უბრალო მიხეხებისთვის — ქალებს კუდიანებად იღიარებდნენ. ამას ყოველთვის მოსდევდა წამება და სიკვდილით დასჯა. ამ შემთხვევაში ქალებმა ბევრად მეტი მსხვერპლი მოუტანეს კაცობრიობას,

ვიდრე მამაკაცებმა. შაშკოვის სიტყვით, რაინდობამ ფარისეველური, გარეგნული პატივის ცემა გამოხატა ქალის წინაშე. რაინდი ქალის საჭელით მრავალ გმირულ საქმეს სჩადიოდა და დამატებულ დროს თავის ოჯახში, კოლშვილში დაიწინა გარმარილოსი იყო.

რაინდობამ არაფერი არ მისცა ქალს, მის მონბის ულელი არ შეამსუბუქა.

ლილი ბრაუნი ამბობს: ეკონომისტები სხვა ნაირად ხსნიან ქალების მონობასთ.

პირველ საუკუნეებში, როდესაც ხალხი ნაღირობით ცხოვრობდა, ქალი და კაცი ერთ შრომას ეწეოდებოდნენ, ორივენი ერთნაირი ლონისა იყვნენ. როგორც ქალი შვილოსნობას დაიწყებდა, მაშინვე კაცს შორდებოდა, ბინას იჩენდა, ბავშვს ახვევდა ნადირის ტყავში; ბავშვი რომ მოიხრდებოდა — მერე მისთვის საჭმლის კეთებას უნდებოდა. აქედან წირმოსდგა შრომის განაწილება. ასე ქალი ძალა უნდებურად შინ რჩება, კაცი ნადირობს და მტერს ებრძების. როდესაც კაცმა ცეცხლი გაიჩინა, ქალი მას დარაჯად მიუყენა.

მაშინ ქორწინება იმ სახით, როგორც ეხლა, არ იყო. კაცი, როდესაც რომელიმე ტომში შედიოდა, ის ყველა იმ ტომის ქალების ქმრად ითვლებოდა და ყოველი ქალი იმ ტომისა, ყველა კაცების ცოლად — შვილი დედობით განირჩეოდა და არა მამობით — ეს იყო დედის უფლების გამეფება „მატრიარხატი"; რამდენადაც პირვანდელი საოჯახო მეურნეობა ვითარდებოდა, იმდენადაც ქალი უფრო და უფრო სკირდებოდა მამაკაცს. მალე კაცი მიეჩინა სარჩოს შენახვას, გაიჩინა საკუთრება, მუშა ხელი დასჭირდა, ამიტომაც როცა პტერს სძლევდა, მონად აქცევდა და ამუშავებდა. საკუთრებამ შეჰქმნა მონობა, პირველი მონა იყო ცოლი ქარისი, დედა მისი შვილებისა.

ოჯახის საქმე გართულდა, ქალი მთლად ჩაითრია შენაურმა წვრიმალებმა და ის დაშორდა საზოგადო საქმეს.

გამეფდა პატრიარხატი.

კაპიტალისტურ წესწყობილებამ ქალი ეკონომიკურად დაუმორჩილი კაცი და ამით დააკანონა ქალის მონობა.

დედობა თავიდანვე უშლიდა ხელს ქალის თავისუფალ მოქმედებას.

ჩვილი ბავშვი ყოველთვის საჭიროებდა დედის მხრუნველობას.

აი სწორედ ეს მუდამ ხელს უბოჭავდა ქალს.

დედობა მძიმე უღელს აღგამდა ქალს, რომლის  
მოშორება შეუძლებელი იყო.

მაგრამ ამასთანვე სწორედ ეს დედობა იტარებდა უოველ განათლების და ზნეობრივი განვითარების ჩანასახს.

ეს იყო პირველი სხივი ზნეობრივობის ბნელ უკუნეთში.

დედობრივი სიყვარულით ქალმა ზნეობრივი უოველნაირი სახე შევქმნა.

### ქუთაისელი.

P. S. ეს წერილი მივიღეთ ქალთა ერთი ჯგუფისაგან, რომელსაც ვბეჭდავთ იმისდა მიუხედავად, რომ პევრში ვერ ვეთანხმებით. ვბეჭდავთ იმიტომ, რომ ამ ჯგუფთან ერთად სასურველად მიგვაჩნია, სხვებმაც გამოსთქვან თავისი აზრი. ოლონდ საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ კერძო წერილებზედ რედაქტირა პასუხს არ იძლევა, როგორც აქამდის. დასაბეჭდი წერილები უნდა იყვას დაწერილი გარკვეულის აზრით და ხელით.

### რედ.

## ბალკანეთის ოძი და ზავი

დროებითი ზავი უფრო გრძელი გამოდგა, ვაღრეთ და მართვის ადგინილება, მაგრამ მაინც მტკიცე ზავად ვერ იქცა. დონდონის ჭანვერენტიაზედ, თამაღეთის და ბალკანეთის მთვავრების წარმომადგენელი ისეთის რისთ შეხვდება ერთმანეთს, როგორც შემთხვევათ „პატარა“ სახელმწიფოებს: ერთის მხრით თავისუდას-ხმელთ გამარჯვებით, და შეთრე მხრით გულზეადთ ჩატალზის შეუგადებით, — მოწინააღმდეგებთ ისეთი მთხოვნების წარუდგინეს ერთმანეთს, რომ არც ერთი არ შეეძლო შეთანხმებაზედ გულგრილად დაპარაკი. დროავ მხარე თითქო იმის ცდაში იყო, რომ გადმა გასდავებოდა მთხოვნების შტერსა — გამოდმა მაინც შემონებათ, მაგრამ შეგომარეთა როგორდებოდა საერთაშორისო განწყობილებით.

თუ ბალკანეთის სახელმწიფონი უდიერად თხოვდნენ ადრიანობრივის, სკუტარის და სხ. ციხეების უბრძოლებელ დათმობს, გარდა უველა სხვა დატერიფიცირობრივითისა, თამაღნია არა ნაკლებ თავსკლერად სცდა-დობდნენ გაებათილებინათ მთელი თამის შედეგები და ჟენე „სტატუსეფს“ დაჭირებულებულნენ თითქმის. ახდარის იმედი და საბუთი შეთხოვა ან ერთს ან შეთრე მხარეს ასეთის ქცევისათვის?

ბალკანეთის ქავშირი, დამთვრადი გამარჯვებით, ვერ ამჩნევს, რომ მისი ძალით ეგანას განედი გაბრძოს, უგანას კენედი ცდა, რომელიც, შეიძლება, საბერის წერთ გადამტკიცეს: საუბეთესო რაზები, საუბეთესო ინტელიგენტური ქალები შეკვების თაშის განვითარების, მათს სიმაგრეებს. მიუღისას და მარტინის უკანასკნელი ფული, მართალია, თითქო კარგ შეხედულობას აძლევს მათს არმას, მაგრამ მათი სადარი და მრეტილია ბრძოლის წინ და იმედი მარტინ სესხზედ თუ აქვთ დამუარებული და საერთაშორისო კომისაზიებზედ, მაგრამ ეს ხომ თომხრივი ხიფათია: ეგრობა არ დაგიღევს სამართლას და თუ მისმა ინტერესებმა მთითხვევას, შეიძლება მოგაფშირეთ ისიც დაჭარგონ, რაც აქამდე ჭირდათ; მით უფრო, რომ გარკვევით რუსეთიც, ეს უმახლოებელი სახელმწიფო, არავითარ თამასუბებს არა ჭირდება საშეედად.

თამაღნი კი ამ დროს შინაურ შეფთხების განიცდია. მართალია, ახატოლიდან გადმოზიდეს გარე ბლობი, ჭარი გადალისადმი და ჩატალზაზედ, დროც ბეგრი გააჩინას და რომ გრძელი მოსეული უკანას და მაღა მოკარიბნათ, მაგრამ თრი უმდავრესი პარტია უმაღლეს სახელმწიფოთებრივ განსცდელის წინაშე მაინც ვერ შეირგებულა. „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტი, რომელმაც უკანას გნედ დროს მთახვენის ისტრი არა არა უკანას გნედ და სამაღეთის, გამარჯვების თცნების საბერი უკანას გნედ და საერთო მტრის წინაშე.

ჩატალზის სიმაგრე, ფინანსურა და სურსათით და მარების ადგინილება გერმანია-ავსტრიისაგან, რემინიის უოფონინების ბულგარეთის საზღვარზედ, უველა ეს საკმარის მასალად მიაჩნია თამაღეთის, გამარჯვების თცნების საბერი გნებადად.

მოღაპარავება დედაბატოა შესწედა, აღაპარა გნება ისევ ზარბაზნები.

— ჩვენ ცეის არ მიუცემოთ თმისას, იძახდნენ ეგროვიელი სახელმწიფოს.

თმი დაიწეო.

ჩვენ შევარიგებთ მოწინააღმდეგებთ, აშბობდნენ ევროპიული სახელმ. მოღაპარავება ჩატალზა.

— თმი ჩანმოკლე იქნება და შებრძოლოთ საზღვრებს არ გასცდება, ადასტურებენ იგივ სახელმწიფოს. თმი მართლაც ვერ გასტანს დიდხანს, თუ შებრძოლოთ ფინანსური დახმარება არ აღმოგებინეს გარედან, მაგრამ თმის დაცვალიზაციაზედ კი რა მოგახსენოთ.

ბალკანეთის თმის დასაწევის მი უფრო ნაკლებ იგზნენ მოწინააღმდეგები ევროპიული სახელმწიფოს. ვიდრე ეხლა. მაშინ არაუკრი ჭირდათ დახარჭული წინასწარ მომზადებაზედ და ეხლა მიღითხებით თრიცხება ეს ხარჯება, მაშინ ნაკლებ იყენენ შეგულისებული და ემინდათ მინაური შეფთხებისაც. ღლეს კი მიმშვიდებულია თითქო ქვეას და საომრად იუგების მთავრობაზე, რომელიც თმის დაცვისათვის უველა სედსაურელია თმი იმ ძალაში მოსაზრებით, რომ იგი ერთს გულის უკან გარეშე საშეებისაგნ მაქცევს და შინაურ უწესრიგობაზედ ნაკლებ

აფიქრებს. მაგრამ უპანასკნებმა დრომ, ნამეტნავად რუსეთ — იაშთნიის თმა აჩვენა ქვეყანას, რომ შიხაური, სოციალური წელები მეტად მძამე და სუსტიანი გახდა, რომ შეიძლებოდეს მათი რითომე გადაფურებება, მაგრამ უკრთხიერდი სახელმწიფოთა მაინც ურიგდებან თათქმა საერთაშორისო თმა.

აერმანიამ და ავსტრიამ ამდენი ჯარის კაცი შეკვერა, იმდენი სურსათი და ტევით-ამაღლა დამზადა, ისეთი ზომებია მიიღო საზღვრებზე და ისეთი საომარი კანონმდებრი მეიმუნებელი შიხაობაში, რომ უკედა ეს აურაცხელი ხარჯის მომტანი სემზადისა ცედი შედებების მომს: სწავლებლია, ფსიქოლოგიურადაც კა მნედა წარმოადგენია, თუ რამ უნდა შეიძლოს მოდენის „ზეგამბუდელი ხადხი, თუ ოდნავ შწევე საბაბი მიეცათ რამპართალია, რუსეთმა თითქმის შირი შეირცხინა და მოძებელი ხადხი დვითის აზაბარად მიატოვა, მაშინ როდესაც თმის დასწევისში შეეძლო ხმა აემაღლებინა და გაბეჭდული ხაბიჯით აუტრიასათვის დაგამი ამოედო, მაგრამ როდემდის იხევს უპან რუსეთი, როცა ავსტრია-გერმანია მოურავებლად ემუქრება და კრიჭაში უდგენა. რუსეთის ხედები თმი წარმოუდგენელ უბედურების მეტს არას მოუტანს, მაგრამ სახელმწიფოებრივი შრესტიფი და თავმოუკარებოს თმისაქნა ჰკრავს ხელსა, რომ ჩას რუსეთის სახელმწიფოს კურთხის „კონცერტში“ ისეგ გამაპრდება.

ამის გარდა, თუ რუსეთს არაფერი მახლობელი ინტერესი არა აქვს ბალყანებული, ისტორიული შენსპექტოვა მეტად კარგს იქნება იდები დღესა: მოხათვესაში სლავიანები, გერმანია მეურად ხელს გაუწვდიან რუსეთს, რომ შავი ზედა, საბოლოოდ სლავიანთა ხმელთაშე ზღვად აქციონს.

შესწევს რუსეთს ამდენი ძაღა თუ არა? რუსეთი რომ დარწმუნებული იუვეს, მისი „მეტაბრი“ სახელმწიფოს ინგლისი და საფრანგეთი არამთე საომარ დასმარებას მარტო მორალურად და ცოტა ფინანსურადაც ხელს წაშეედგენენ გაჭირების დროს — მას თამაშედ მეუღლე თავი აემაღლებინა გერმანელთა ხიშტების წინაშე.

მნედია საოქმედად სად გავარდება, ან გავარდება კი შირველი ზორბგანი, რომელიც ბალყანების თმი ჩაითრევდეს სხვებსაც, მაგრამ რაც თმი გაგრძელდება, მით ეს მოდედინი უფრო სიხამდევილესთან ახლო იქნება. თანამედროვე სახელმწიფოთ არ შეუძლიანო დაღხის იმ „მოუზიდ გუნებაზე“ უთვეს. რომელმაც ესდა რაინან ეს რამდენიმე შილითნად უჯდებათ. ბალყანების თმს კი ბოლო არ უჩას ვერა: ადრიანოზოლი შემგად კლდეთ გადაეჭრათ მოგავშირეთ, სკუტარის უმწოდე ეხეთქება ჩერნაგრენელთა რაზმები, ჩატალა ძველი ბურად სიკვდილის ჰფების გარშემო და გამლილი გადაზოდი გერ შეიქმნა მოწმედ საბოლოო გამარჯვებისა.

შევდა კი ერთად გვათიქრებინებს, რომ დღეს-ხვად ეკრანის სახელმწიფოსა ისევ ჩაერევან საქმეში და თუ წინასწარ საიდუმლო მეთანხმება არა აქვთ რა, — საერთაშორისო თმი 1913 წლის კორონიფიაში მომტკიცა.

მეომარი.

## ს. გურჯაანის წვრილი კრედიტი ამხანაგობის წლიური კრება

27 იანვარს აღვილობრივ ბიბლიოთეკის /საკუთარ შენობაში მოხდა წლიური უკრებაშიწმილი კრედიტის ამხანაგობისა, ხედამხედველ შენს უკრების თანადასწრებით. წევრით უმრავლესობა დაესწრო. განსახილველი იყო წლიური ანგარიში; წარსული წლის დამდეგს ამხანაგობას ჰყოლია 200 წევრი; წლის განმავლობაში მოპირების 205 წ. წლის დამლევს ჰყოლია სულ 405 წ. ანგარიშის ბალანსი: პასივი. საანგარიშო წლის დამდეგს ჰყონდა ძირითადი თანხა 2000 გ. სათადარიგო 5 მან. 94 კაბ. სახ. ბანკიდგან მოკლე ვადიანი სესხი 3000 გ. სულ 5005 გ. 94 კ. წლის განმავლობაში შემოვიდა დასაბრუნებლად 5 გ. 94 კ. შესანახი 1160 გ. სესხი 10000 გ. სარგებელი 1039 გ. 20 კ. სულ 12205 გ. 14 კ. გასავალი (იბრუნა) 5 გ. 94 კ. შესანახი 130 გ. გასესხებული იყო 9400 გ. სარგებელი 609 გ. 29 კ. სულ 10245 გ. 23 კ. წლის დამლევს დარჩენილია: ძირითადი თანხა 2000 მან. სათად. თ. 5 გ. 94 კ. შესანახი 1030 გ. სესხი 3500 გ. მოგება 429 გ. 91 კ. სულ 6965 გ. 85 კაბ.

აქტივი შემოსავალი გასესხებული 11515 მან. სარგებელი 609 გ. 29 კ. სულ 12124 გ. 29 კაბ. გასავალი სესხი 12455 გ. შედენილი ქონება 113 გ. 40 კ. ხარჯი და ზარალი 609 გ. 29 კ.

სულ 13177 გ. 69 კ. ჩეგბა საანგარიშო წლის დამლევს გასესხებული 5875 გ. ქონება 11 გ. მან. 40 კ. სულ 5988 გ. 40 კ. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებამგანაწილა მოგება 429 გ. 91 კ. ამნაირად: 175 გ. გადასდო საკუთარ ძირითად თანხის შესაღებენად; 84 გ. სათადარიგო თანხად; 100 გ. ამხანაგობის საკუთარ შენობისთვის თანხის შესაღებენად; 50 გ. საშუალოვლო საოცერაციო თანხისთვის; 15 გ. აღვილობრივ ბიბლიოთეკის და 5 გ. 91 კ. წიგნების სახით ჯილდოთ ამხანაგების შვილებს, რომელნიც მათგანი საუკეთესო მოწაფები აღმოჩნდებიან აღვილობრივ პირველ დაწყებით სკოლებში. მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცა 510 მან. აქედან 300 გ. დაუნიშნა წლიურ ჯილდოთ გამგეობრის ორ წევრის საქმის მწარმოებელ სანახევროდ და 60 გ. მესამე წევრის ხაზინადას. 150 გ. სხვა და სხვა ხარჯისათვის. ბ-ნი ვიფლარსი დაპირდა ამხანაგობას 2000 გ. ზედმეტ სესხს განსაკუთრებულის დანიშნულებით იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობა ვადით შესანახი ფული მოულოდნელად დასკირდა პატრონს შის გასასტუმრებლად, რაღაც კასაში შეიძლება არ აღმოჩნდეს თვისუფლობი ფული იმ დროს. კრებაშ ნდობა და მაღლობა გამოუცხადა მოთავეებს.

ამხანაგი.

სამეცნიერო-გედა-გოგიური და საციტუაციო ჟურნალი  
**“განათლება”**

მიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის.

1913 წელი ჟურნალი „განათლება“ ჩაიყდებოდა  
კაზახური კავკაციური და საქართველოს კარდი გარდა ხაშუ-  
რის თანა თვალს. ჟურნალში იძებელი წერილები, რო-  
გორი საკუთხა-დაზედი მესახებ, აგრეთვე მეცნიერების  
სხვ. და სხვა დარგების სამეცნიერო განვითარება, გა-  
მდებარებული კავკაციური განვითარება, გა-  
მდებარებული კავკაციური განვითარება, გა-  
მდებარები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ანგრიფან უურნალში იქნება ტალკ პანეტულება,  
სადაც დაბეჭდება გვევარგები ცნობები ქ. ქ. ურა-კო-  
მხედი გამაყრცელები საზოგადოების და მისი განვი-  
თარებათ მოწმებას შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალის არა მონიშვნელოვანია.  
მხრივ საფუძვლის მანეთად საზოგადო საზოგადო  
ხელის გუნდი დაიმსახურა სამ მანეთად. საზოგადო  
ნ. მან. განც წლიურ ფასის ჟურნალის ანგრიფის ბოლო-  
მდებარები, სახელმწიფო მარგის განვითარების ა-  
კად გადამდინარების მოხსენიერების სერია.

ხელის მოწერა თბილისში: ქართულ გამნაზია, „ხელის“ რედაქციაში და წერა-კომისია საზოგადო  
ების წერის მარაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთა-  
იშვილის მიმართ ევიცენისთან. ბათომში—წიგნის მარა-

ზია „განათლება“. იმ თა ადგილის იქნება ცენტ ნო-  
მების, თითო 40 კა.

რედაქცია სოციალური მომწოდებების დროში ფინანსურაში  
მისამართი: თემის დარიალი გრუზის გრუზის გრუზის

გიმნაზია ქ. ქ. ბათუმის გრუზის გრუზის

რედაქცია კულტურულ ლ. გ. ბოცვაძე.

აიდეა ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საუმარტვილო გრუზის

## „ნაკადული“

წერის მეცნიერება

გრუზის გამოვა ჩვეულებრივ პროგრამით, საგან-  
გებოდ ირჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვა-  
ნელობით.

ორი გამოცემა:

აიდეა რეოგანიზაციის 24 ვიზენი

ამილადისათვის . . . 12 ვიზენი

ელიტები წლიურად 5 მან., ნახევარ წლით 3 მან.,  
კალ-კალკ თვითონ გამოცემა 3 მან., საზღვაო  
გარედ 7 მ.

წლიური ხელის მოწერის მიღებები სიჩუქრეს.  
ხელის მოწერა მიღება თბილისში „ნაკადულის“  
რედაქციაში, გოლოვინის პროცესი, 8.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.  
გამომუშაველი თავ. 3. ი. თუმანიშვილი.

Открыта подписка на **1913** годъ  
на политическую, общественную и литературную ежедневную газету

## „ЗАКАВКАЗЬЕ“

Безпартийно-прогрессивный демократический органъ, обслуживающий интересы Закавказского  
края; безъ различія националистовъ.

(Въ съмъгодинѣ изданія.)

### ПОДПИСНАЯ ЦЕНА

Съ доставкой въ городъ Тифлисъ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40 к., 6 м. 3 р.  
5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 к., 6 р., 5 р. 50 к., 5 р., 4 р. 50 к., 4 р., 3 р. 50 к., 2 р. 80 к., 2 р. 10 к., 1 р. 40 к., 75 к.

Заграницу вдвое больше городской

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р. въ мѣсяцъ.

Подписка принимается только съ первого числа каждого мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинского Дворянства (входъ со двора грузинского театра)

Телефонъ № 917.

### ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНИЯ:

Для Закавказья на мѣсто, запомаляемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., по-  
реди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зрешица и увеселеніе 20 коп.

За многократный объявленія скидка.

Объявление о спрѣсѣ и предложении труда, обѣ отдачѣ квартирѣ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 к.  
каждое. Траурное объявленіе—4 руб.


Объявление вѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго  
дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ. Мясницкая д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большой  
Морской, № 11, въ Варшавѣ—Маршалковская, № 130, . . . 24 к. передъ текстомъ и 12 коп. посдѣ текста.



ბ ი თ ხ მ ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ


# პოლიტიკური ღვინო

საზოგადოება „კანეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კანეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა  
საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუცილია  
1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხა-  
ბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში,  
ალექსანდრიალში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კანეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოცება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კანეთი“



მიმდინარეობა საზოგადოება „კანე-  
თი“ დაარსებულია 1894 წელს. სა-  
ზოგადოებაში არის 164 წევრი. „კა-  
ნეთის“ საზოგადოების ფინანსებით  
866', ღვინის გამოყენების მინიჭებული  
უზიდავეს საზოგადოებას ნაგ-  
ღვინო კანეთ ღვინოს!

## ქალა მრთოგავია!

კანელებო! ჩიეწერეთ საზოგადო-  
ების წევრებად და ამით დაიხსენით  
თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-  
ხარჩების ცარცუისაგან და მასთან  
ერთად შეუწყეო ხელი ღვინით და  
საქმეში მონაწილეობით. ყოველ კა-  
ნელისთვის ფრიად სასარგებლო  
„საზოგადოების“ გაფართოვება—  
გაძლიერება, მისი წევრების გაძლიე-  
რების და გამდიდრების მომასწავე-  
ბელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების  
საქმით მოწვევის გადასაცემი და მკმიდია  
დაკავებულია.

მოითხოვთ საზოგადოების  
წესდება: